2020 წლის ანგარიში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის, სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების მიერ გაცემული საჯარო ინფორმაციის თაობაზე

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოვიდა 92 (ოთხმოცდათორმეტი) განცხადება. სამინისტროს მიერ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, 68 (სამოცდარვა) განცხადებაზე გაცემულ იქნა საჯარო ინფორმაცია, 10 (ათი) განცხადებაზე ინფორმაცია არ გაცემულა, ხოლო შესრულების პროცესშია 14 (თოთხმეტი) განცხადება. საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის შესახებ მოთხოვნა არ დაფიქსირებულა. საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით საჩივარი არ დაფიქსირებულა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევის გამო, პასუხისმგებელი პირებისთვის დისციპლინური სახდელი არ დადებულა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური

საქართველოს ფინანსთა სამინიტროს სახაზინო სამსახურში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოვიდა 10 (ათი) განცხადება. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, 5 (ხუთი) განცხადებაზე გაცემულ იქნა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, ხოლო შესრულების პროცესშია 5 (ხუთი) განცხადება.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოვიდა 13 (ცამეტი) განცხადება. საგამოძიებო სამსახურის მიერ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ყველა მათგანზე გაცემულ იქნა საჯარო ინფორმაცია.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოვიდა 2 (ორი) განცხადება. სამსახურის მიერ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ორივე განცხადებაზე გაცემულ იქნა საჯარო ინფორმაცია. სამსახურის მიერ არ მიღებულა გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე.

საჯარო სამართლის იურიდიულ პირი - ფინანსთა სამინისტროს აკადემია

სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოვიდა 15 (თხუთმეტი) განცხადება. აკადემიის მიერ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ყველა მათგანზე გაცემულ იქნა საჯარო ინფორმაცია.

საჯარო სამართლის იურიდიულ პირი - საფინანსო - ანალიტიკურ სამსახური

სსიპ - საფინანსო ანალიტიკურ სამსახურში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოვიდა 4 (ოთხი) განცხადება. საფინანსო - ანალიტიკური სამსახურის მიერ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, 3 (სამი) მათგანზე გაცემულ იქნა საჯარო ინფორმაცია, ხოლო შესრულების პროცესშია 1 (ერთი) განცხადება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შემოსავლების სამსახური

სსიპ - შემოსავლების სამსახურში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოვიდა 928 (ცხრაას ოცდარვა) განცხადება. შემოსავლების სამსახურის მიერ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, 717 (შვიდას ჩვიდმეტი) განცხადებაზე გაცემულ იქნა საჯარო ინფორმაცია, ხოლო ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 44 (ორმოცდაოთხი) განცხადება. შემოსავლების სამსახურში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 150 (ასორმოცდაათი) განცხადებასთან დაკავშირებით. 17 (ჩვიდმეტი) განცხადება შესრულების პროცესშია.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილებები მიღებულ იქნა შემდეგი საჯარო მოხელეების მიერ:

- ✓ ბექა ჩხაიძე - საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი);
- ✓ ცოტნე ყავლაშვილი - სახაზინო სამსახურის უფროსი;
- ✓ ანა ლურსმანაშვილი - საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური);
- ✓ ნათია გლოველი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური);

- ✓ ლევან წითელაშვილი - სსიპ - შემოსავლების სამსახურის იურდიული დეპარტამენტის უფროსი;
- ✓ ომარ ოქროპირიძე - საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი (სსიპ-ფინანსთა სამინისტროს აკადემია);
- ✓ ლევან ბაიდოშვილი - საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი (სსიპ - საფინანსო-ანალიტიკური სამსახური).